ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3582570

ნომერი: AR1539883

თარიღი : 19.09.2017

გაცემის თარიღი : 02.10.2017

გაცნობის თარიღი : 02.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლისის საკრებულო , (ნაკვ.7/9) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მოჰსენ მ. მ. აბდელმალაკ --- პ/ნ 01191002919
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ალიო მირცხულავას ქუჩა, N 3ა, ბინა 8

ორგანიზაცია:

- შპს "აგაბი გრუპ" კოდი: 404439372

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 09 ნოემბრის №2287506 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 19 სექტემბრის №AR1539883 განცხადებით მომართა მოჰსენ მ. მ. აბდელმალაკმა და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2015 წლის 09 ნოემბრის №2287506 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 09 ნოემბრის №2287506 ბრძანებით ქ. თბილისში, ლისის საკრებულოს ტერიტორიაზე, (ნაკვ#7/9), შ.პ.ს. ,,AGHABY GROUP"–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს.კ: №01.14.16.007.009 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტიდა გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 09 ნოემბრიდან 2016 წლის 09 აპრილის ჩათვლით.

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2015 წლის 09 ნოემბრის №2287506 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და განმარტავს, ამავე ბრძანების ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ამოღებულ უნდა იქნეს დამხმარე ფართობი 164.4, ხოლო საცხოვრებელ ფართობად ნაცვლად 374.7 კვ.მ-სა უნდა დაფიქსირდეს 539.1 კვ.მ. განმცხადებელი ასევე მოითხოვა 2015 წლის 9 ნოემბრის №2287506 ბრძანებით შეთანხმებული +0.00 ნიშნულის, +3.20 ნიშნულის, +6.40 ნიშნულის, +9.60 ნიშნულის, +12.80 ნიშნულის და გადახურვის საპროექტო გეგმების 2017 წლის 19 სექტემბრის №AR1539883 განცხადებით წარმოდგენილი კორექტირებული საპროექტო გეგმებით ჩანაცვლება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 19 სექტემბრის №AR1539883 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2015 წლის 09 ნოემბრის №2287506 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 09 ნოემბრის №2287506 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნეს დამხმარე ფართობი 164.4, ხოლო საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 539.1 კვ.მ.
2. ჩანაცვლდეს 2015 წლის 9 ნოემბრის №2287506 ბრძანებით შეთანხმებული +0.00 ნიშნულის, +3.20 ნიშნულის, +6.40 ნიშნულის, +9.60 ნიშნულის, +12.80 ნიშნულის და გადახურვის საპროექტო გეგმები 2017 წლის 19 სექტემბრის №AR1539883 განცხადებით წარმოდგენილი კორექტირებული საპროექტო გეგმებით.
3. სამსახურის 2015 წლის 09 ნოემბრის №2287506 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 09 ნოემბრის №2287506 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.